



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 28 დეკემბერი, 2022

ადგილმდებარეობა: დისტანციურად (ელექტრონული ფოსტის გამოყენებით)

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, ზვიად კორძაძე, თორნიკე ბაქრაძე, ციციწო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) გიორგი დევიძის, ანი სუხიტაშვილის და გაგი კირთაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი დევიდის, ანი სუხიტაშვილის და გაგი კირთაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) მერაბ კოზმავას და გვანცა ტაბატაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მერაბ კოზმავას და გვანცა ტაბატაძის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

**საკითხი 2.** ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თეონა ეცადაშვილის, ზაური კინტირაიას და დარინა კიკილაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, (მომხრე 9: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ციციხო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, წინააღმდეგი 1: ზვიად კორძაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თეონა ეცადაშვილის, ზაური კინტირაიას და დარინა კიკილაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

**საკითხი 3.** წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მარინა ყორღანაშვილის, ანი ბულაშვილის, ეკატერინე ვაქიაშვილის, ანა ალავიძის, ქეთი ქორიძის, იური დადეგაშვილის, ვიკა კირთაძის, თეონა კაპანაძის (ს/ნ. 9741), სალომე მუმლაძის, გიორგი გოშაძის, ხატია კვიციანის, თეონა ხოსროშვილის, თინათინ ხითარიშვილის, გვანცა გულიაშვილის, ნანა კაპანაძის (ს/ნ. 6920), რუსუდან ზირაქაშვილის, მარიამ სუხაშვილის, მანო გიორგაძის, ნიკა დევსურაშვილის, თამთა შენგელაიას, ეკატერინე ნადირაძის, ნინო უშიკიშვილის, ირინა დათუნაშვილის, ლევან არძენაძის, ელენე წირქვაძის, მარიამ ჭურჭელაურის, დათა გეგეჭკორის, გვანცა ტაბატაძის, ანი სუხიტაშვილის, მირიან გამეზარდაშვილის, მაია აბრამიშვილის, სალომე ჯალაღანიას, ზაზა დავითულიანის, თამარ ქურთაულის, ფიქრია გილაშვილის და მამუკა ბასილაშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარინა ყორღანაშვილის, ანი ბულაშვილის, ეკატერინე ვაქიაშვილის, ანა ალავიძის, ქეთი ქორიძის, იური დადეგაშვილის, ვიკა კირთაძის, თეონა კაპანაძის (ს/ნ. 9741), სალომე მუმლაძის, გიორგი გოშაძის, ხატია კვიციანის, თეონა ხოსროშვილის, თინათინ ხითარიშვილის, გვანცა გულიაშვილის, ნანა კაპანაძის (ს/ნ. 6920), რუსუდან ზირაქაშვილის, მარიამ სუხაშვილის, მანო გიორგაძის, ნიკა დევსურაშვილის, თამთა შენგელაიას, ეკატერინე ნადირაძის, ნინო უშიკიშვილის, ირინა დათუნაშვილის, ლევან არძენაძის, ელენე წირქვაძის, მარიამ ჭურჭელაურის, დათა გეგეჭკორის, გვანცა ტაბატაძის, ანი სუხიტაშვილის, მირიან გამეზარდაშვილის, მაია აბრამიშვილის, სალომე ჯალაღანიას, ზაზა დავითულიანის, თამარ ქურთაულის, ფიქრია გილაშვილის და მამუკა ბასილაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

**საკითხი 4.** ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდის ბიუჯეტის გაზრდა 2 500 ლარით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მიმდინარე პერიოდისთვის ამოწურულია ადვოკატის სოციალური დაცვის ფონდის ბიუჯეტი. ამავდროულად, რიგი წევრების განცხადებები განხილვის რეჟიმშია და მომართვიანობის დინამიკაც აქტიურია. აქედან გამომდინარე, წევრებისთვის გადაუდებელი აუცილებლობით დახმარების აღმოჩენის მიზნით, საჭიროა ფონდის ბიუჯეტის გაზრდა 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: გაიზარდოს სოციალური დაცვის ფონდის ბიუჯეტი 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით.

**საკითხი 5. ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების შეტანა.**

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ თანამშრომლების მცირედი ფინანსური წახალისების მიზნით, წინა საახალწლოდ, წლის განმავლობაში მათ მიერ გაწეული აქტიური მუშაობისთვის, ბიუჯეტის სახელფასო დანამატების მუხლში შევიდეს ცვლილება და გაიზარდოს 5000 ლარით.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: გაიზარდოს სახელფასო დანამატების ბიუჯეტი 5000 (ხუთი ათასი) ლარით.

**საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.**

წევრები გაეცნენ ვახტანგ კვანტალიანის, კონსტანტინე ხიდურელის, გიგა ბაკურაძის და როინ აბაშიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ვახტანგ კვანტალიანის, კონსტანტინე ხიდურელის, გიგა ბაკურაძის და როინ აბაშიძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის წევრთა განგრძობადი იურიდიული განათლების 2022 წლის სავალდებულო კრედიტ-საათებისგან გათავისუფლება.**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2022 წლის ბიუჯეტის მაქსიმალური ოპტიმიზაცია მოხდა ახალი ოფისის მშენებლობის ხარჯებიდან გამომდინარე და შესაბამისი რაოდენობის ტრენინგების ფიზიკურ სივრცეში ჩატარება ვერ მოეხერხდა, ასევე, იმის გამო, რომ წევრთა

გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო ონლაინ მოდულების გავლა და შესაბამისი კრედიტების დაგროვება, აღმასრულებელ საბჭოსთვის შეთავაზებულ იქნა, 2022 წლის სავალდებულო კრედიტ საათებისგან გათავსიფლდეს ასოციაციის ყველა წევრი.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის ყველა წევრი გათავსიფლდეს განგრძობადი იურიდიული განათლების 2022 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისაგან.

**საკითხი 8.** 2023 წლის სავალდებულო კრედიტ საათების ოდენობის განსაზღვრა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2022 წლის მსგავსად, მომდევნო წლის სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობად განისაზღვროს 10 საათი.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის სავალდებულო კრედიტ-საათებად განისაზღვროს 10 კრედიტ-საათი.

**საკითხი 9.** პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებაში ცვლილების შეტანა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის მიზნით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მომავალ ადვოკატთა სწავლების გაძლიერება. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა სწავლების პლატფორმის (HELP) ფარგლებში უკვე არის შექმნილი ევროკონვენციის ხარისხიანი ონლაინ მოდული. ახალი კურსის შექმნის ნაცვლად, ევროსაბჭოსთან აქტიური თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით, გვაქვს უფლება, გამოვიყენოთ აღნიშნული მოდული ადაპტაციის პროგრამისთვის და პროგრამის მონაწილეები თეორიული კურსის განმავლობაში შეძლებენ აღნიშნული კურსის გავლას და შესაბამისი სერთიფიკატის აღებას.

აღმასრულებელ საბჭოს წარედგინა წინადადება, რომ ადაპტაციის პროგრამის თეორიულ ნაწილს სავალდებულო მოთხოვნად დაემატოს HELP-ის ზემოაღნიშნული მოდულის გავლა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) შევიდეს ცვლილება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებაში და სავალდებულო მოთხოვნად დაემატოს შემდეგი სახელწოდების მოდულის გავლა: „ადამიანის უფლებათა სწავლების ელექტრონული პლატფორმა HELP“.

(ბ) მიღებული გადაწყვეტილების პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებაში ასხვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე